ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №725953

ნომერი: AR1135624

თარიღი : 31.05.2013

გაცემის თარიღი : 07.06.2013

გაცნობის თარიღი : 07.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი მუხიანისკენ , მიმავალ გზაზე , ავტოსატრანსპორტო საწარმოს , მიმდებარედ (ნაკვ. 2/67) / ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანის , ბაზრობის მიმდებარედ წყალკანალთან ნაკვეთი 02/167/ ქალაქი თბილისი , მუხიანის მიმდებარედ , (ნაკვ. 2/76) ; ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , ბაზრობის მიმდებარედ , წყალკანალისკენ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გლდანი-მუხიანისაკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ, (ნაკვ. N2/68) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი შეყრილაძე პ/ნ 01024045352
- ვაშლიჯვარი, კორპ. 14, ბინა 36

ორგანიზაცია:
- ს.ს.ქროსი" კოდი: 204573611

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 09 ივლისის #252959 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქე ლევან ძიძიშვილმა 2013 წლის 31 მაისს #AR1135624 განცხადებით მომართა სამსახურს და

მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 09 ივლისის #252959 გადაწვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 09 ივლისის #252959 გადაწვეტილებით ქ. თბილისში, გლდანი მუხიანისკენ მიმავალ გზაზე, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #01.11.13.002.067, #01.11.13.002.068, #01.11.13.002.095, #01.11.13.001.077; ფართობი: 3500 კვ.მ; 4130კვ.მ; 500კვ.მ; 149კვ.მ.) კომერციული დანიშნულების მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ახალი საჯარო რეესტრის ამონაწერისა (რეგისტრაციის #882013260690, #882013260701,# 892012140658; მომზადების თარიღი: 07.06.13, 07.06.13, 10.12.12) და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #882013237511, 882013249532, 892012111585; მომზადების თარიღი: 28.05.13, 31.05.13, 20.11.12) თანახმად ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შეადგენს 6062.00 კვ.მ.-ს, 3176.00 კვ.მ.–ს და 4279 კვ.მ–ს, ახალი საკადასტრო კოდი #01.11.13.002.187; #01.11.13.002.188 და #01.11.13.002.168. ასევე, სამსახურის ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთად მითითებულმა შპს „ქროსი“, რომელმაც განიცადა რეორგანიზაცია და დღეის მდგომარეობით წარმოადგენს სს „ქროსი“–ს, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას სამსახურის 2012 წლის 09 ივლისის #252959 გადაწვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2012 წლის 09 ივლისის #252959 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდების ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 09 ივლისის #252959 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 6062.00 კვ.მ.-ს, 4279 კვ.მ. და 3176.00 კვ.მ.–ს, საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.11.13.002.187 , #01.11.13.002.188 და 01.11.13.002.168; ასევე, დამკვეთად დაფიქსირდეს სს „ქროსი“;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის 2012 წლის 09 ივლისის #252959 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882013260690, #882013260701,# 892012140658; მომზადების თარიღი: 07.06.13, 07.06.13, 10.12.12) და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #882013237511, 882013249532, 892012111585; მომზადების თარიღი: 28.05.13, 31.05.13, 20.11.12) საკადასტრო კოდი: #01.11.13.002.187, #01.11.13.002.188, #01.11.13.002.168);
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 09 ივლისის #252959 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს: „ვინაიდან #01.11.13.002.188 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე – 149.00 კვ.მ.–ზე საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ფიქსირდება შეზღუდვა (დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე), შემდეგ ეტაპზე განმცხადებელი ვადებულია წარმოადგინოს საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი ან დაიცვას ამონაწერში მითითებული შეზღუდვა.“
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2012 წლის 09 ივლისის #252959 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.